შპს სკოლა "ჰორიზონტი"
საღამო ცოდნა ღრმავდება - პერსპექტივა ფართოვდება

შპს სკოლა ჰორიზონტი

სასკოლო სასწავლო გეგმა / კურიკულუმი

2026-2027 სასწავლო წელი

პროექტი

სარჩევი

შესავალი 3

კარი I 8

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები 8

სკოლის ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში 9

სკოლის დაგეგმვა და განვითარება 9

საგნობრივი კათედრები და მათი მუშაობის პრინციპები 10

2026-2027სასწავლო წლის კალენდარი 11

დამრიგებლის მუშაობის პრინციპები 11

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა 14

საათობრივი ბადე 20

შინსწავლება 20

ინკლუზიური განათლება 21

პერსონალის მართვა 26

კარი II 27

სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები 27

ზოგადი მიმოხილვა - სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები 27

დაწყებითი საფეხური (I-VI კლასი) 29

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი (ზოგადი ნაწილი) 29

კურიკულუმის დაგეგმვა თითოეული საგნისთვის დაწყებით საფეხურზე: 29

კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაწყებით საფეხურზე: 31

პროექტი დაწყებით საფეხურზე 32

საბაზო საფეხური (VII-IX კლასები) 32

საბაზო საფეხურის კურიკულუმი (ზოგადი ნაწილი) 32

კურიკულუმის დაგეგმვა თითოეული საგნისთვის საბაზო საფეხურზე: 32

დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება საბაზო საფეხურზე: 34

პროექტი საბაზო საფეხურზე 35

საშუალო საფეხური (X-XII კლასები) 35

საშუალო საფეხურის კურიკულუმი (ზოგადი ნაწილი) 35

კურიკულუმის დაგეგმვა თითოეული საგნისთვის საშუალო საფეხურზე: 35

კურიკულუმის განხორციელება / დანერგვა საშუალო საფეხურზე: 36

კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება საშუალო საფეხურზე: 38

პროექტი საშუალო საფეხურზე 38

მოსწავლეთა მხარდაჭერა 38

არაფორმალური განათლება 39

შესავალი

შპს სკოლა „ჰორიზონტი“ დაფუძნებულია 2026 წელს ქალაქ ბათუმში და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

2026–2027 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებითა და 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე, ასევე მოქმედი კანონმდებლობის, შპს სკოლა „ჰორიზონტის“ დებულების, სკოლის ფილოსოფიის, მისიის, ხედვისა და სტრატეგიული განვითარების მიზნების გათვალისწინებით.

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. დაწყებითი საფეხური მოიცავს I–VI კლასებს, საბაზო საფეხური — VII–IX კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური — X–XII კლასებს.

შპს სკოლა „ჰორიზონტის“ სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური — შემეცნებითი, ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ. სკოლის სასწავლო გეგმა ასახავს სკოლის მისიას — შექმნას უსაფრთხო, მხარდამჭერი, მოსწავლეზე ორიენტირებული და მცირე კონტიგენტზე მორგებული საგანმანათლებლო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის, განვითარებისა და რეალიზების შესაძლებლობა.

სკოლის სასწავლო გეგმა ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ცოდნა მოსწავლის მიერ აქტიური გააზრების, გამოცდილებასთან დაკავშირების, აღმოჩენის, ანალიზის, გამოყენებისა და რეფლექსიის შედეგად ყალიბდება. შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესი სკოლაში ორგანიზებულია ისე, რომ მოსწავლე იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუირების აქტიური მონაწილე, შეძლოს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და მიღებული ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება.

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა ეყრდნობა შემდეგ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვან ელემენტებს და სხვადასხვა საზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე გარდაქმნის მათ ცოდნად. ამ მიზნით სკოლა ხელს **უწყობს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის, კვლევის, კითხვების დასმის, მსჯელობისა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.**

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ახალი ცოდნის შეძენა ეფექტიანია მაშინ, როდესაც იგი ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებასა და ინტერესებს. ამიტომ სასწავლო პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, განვითარების დონეს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და უკვე არსებულ ცოდნას. წინარე ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეს ეხმარება ახალი ინფორმაციის გააზრებასა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის დანახვაში.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის დაკავშირება, საერთო კანონზომიერებების აღმოჩენა, პრობლემების გააზრება და მიღებული ცოდნის გამოყენება როგორც სასწავლო, ისე

ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ზრდის გააზრების, დამახსოვრების, ტრანსფერისა და შემოქმედებითი გამოყენების შესაძლებლობას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას — „სწავლის სწავლას“. სკოლა მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა არა მხოლოდ მიიღონ ცოდნა, არამედ ისწავლონ, როგორ ისწავლონ. მოსწავლე უნდა ფლობდეს მიზნის დასახვის, სწავლის დაგეგმვის, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების, თვითშეფასების, დროის მართვის, რეფლექსიისა და შეცდომებზე სწავლის უნარებს. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, გააცნობიეროს, რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს მიზნის მისაღწევად და როგორ შეიძლება მათი გაუმჯობესება.

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა გულისხმობს ფაქტების, ცნებების, წესების, თეორიებისა და ინფორმაციის ცოდნას და პასუხობს კითხვას: **რა ვიცი?**

ე.ბ) პროცედურული ცოდნა გულისხმობს ცოდნის გამოყენების, მოქმედების შესრულების, წესისა და მეთოდის პრაქტიკულად განხორციელების უნარს და პასუხობს კითხვას: **როგორ გავაკეთო? როგორ შევასრულო?**

ე.გ) პირობისეული ცოდნა გულისხმობს იმის გააზრებას, როდის, რატომ და რა პირობებში უნდა გამოიყენოს მოსწავლემ კონკრეტული ცოდნა ან უნარი. იგი უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში და პასუხობს კითხვას: **როდის და რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?**

შპს სკოლა „ჰორიზონტი“ სწავლა-სწავლების პროცესში ასევე ეყრდნობა პოზიტიური სასწავლო გარემოსა და ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სკოლა ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლე თავს გრძნობს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხოდ; დაცულია მისი ღირსება, უფლებები და ინდივიდუალობა; წახალისებულია თანამშრომლობა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა, მოქალაქეობრივი ცნობიერება და თვითრეალიზება.

სკოლის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედებას, სასწავლო პროცესის დიფერენცირებას, მშობლებთან თანამშრომლობას და უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, მზრუნველი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

შპს სკოლა „ჰორიზონტის“ სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების ორგანიზებას, სასწავლო პროცესის პრინციპებს, საგნობრივ და აღმზრდელობით მიმართულებებს, მოსწავლეთა შეფასების, მხარდაჭერისა და განვითარების მექანიზმებს. იგი ემსახურება სკოლის მისიის განხორციელებას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებას სკოლის შესაძლებლობების, ღირებულებებისა და განვითარების სტრატეგიის შესაბამისად.

სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა

კარი I

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები

ორგანიზაციის მისია:

შპს სკოლა „ჰორიზონტის" მისიაა შექმნას ლოკალური თემის საჭიროებებზე მორგებული, მცირეკონტიგენტიანი (მაქსიმუმ 168 მოსწავლე), უსაფრთხო, ემპათიური და მხარდამჭერი საგანმანათლებლო სივრცე ,დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის, ინკლუზიურ და ჰუმანისტურ ღირებულებებზე დაფუძნებულ განათლებას. სკოლის მიზანია, მცირე სასწავლო ჯგუფებისა და თითოეულ მოზარდზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომით, აღზარდოს თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლიანი მოქალაქეები, რომლებიც მზად იქნებიან თანამედროვე გლობალური გამოწვევებისთვის.

ორგანიზაციის ხედვა:

შპს სკოლა „ჰორიზონტი" წარმოადგენს ინოვაციურ, „ოჯახური" ტიპის საგანმანათლებლო კერას, რომელიც ინარჩუნებს მკაცრად განსაზღვრულ, მცირე კონტიგენტს (არაუმეტეს 168 მოსწავლისა), რათა გარანტირებული იყოს თითოეული მოსწავლის სოციო-ემოციური უსაფრთხოება და აკადემიური მენტორობა. სკოლა ჩამოყალიბდება როგორც მონაცემებზე დაფუძნებული მართვის მოდელის მქონე ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად ანახლებს ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, ნერგავს აქტიური სწავლების მეთოდოლოგიას და სარგებლობს მაღალი ნდობითა და ავტორიტეტით ლოკალურ თემში.

ორგანიზაციის ღირებულებები:

შენიშვნა: *ღირებულებები არის პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სკოლის ყოველდღიური ცხოვრება და ქცევა.*

მოსწავლეზე ორიენტირებულობა და ინდივიდუალიზმი: თითოეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარება, მათი პირადი საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინება და მხარდაჭერა.

უსაფრთხოება და ნდობა („ოჯახური გარემო“): ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო, მზრუნველი და ოჯახური გარემოს შექმნა, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს გრძნობს დაცულად და დაფასებულად.

თანამშრომლობა და გუნდურობა: ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული მყარი პარტნიორობა მოსწავლეებს, პედაგოგებს, ადმინისტრაციასა და მშობლებს შორის. გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღების კულტურა.

პასუხისმგებლობა, ეთიკა და ხარისხი: მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა, მონაცემებზე დაფუძნებული მართვა და ხარისხის უწყვეტი განვითარება გრძელვადიანი მდგრადი შედეგების მისაღწევად.

ჰუმანიზმი და მრავალფეროვნება: ტოლერანტობის, თანასწორობის, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება სასკოლო საზოგადოებაში.

შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან

შპს სკოლა „ჰორიზონტის“ მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ, აკადემიურ, სოციალურ-ემოციურ, მოქალაქეობრივ და ზნეობრივ განვითარებას.

სკოლის მისია — შექმნას ლოკალური თემის საჭიროებებზე მორგებული, მცირეკონტიგენტიანი, უსაფრთხო, ემპათიური და მხარდამჭერი საგანმანათლებლო სივრცე დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის — **თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, ორიენტირებულია თავისუფალი, კრიტიკულ**ად მოაზროვნე, პასუხისმგებლიანი და თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადმყოფი მოქალაქის აღზრდაზე.

სკოლის ხედვა, რომლის მიხედვითაც „ჰორიზონტი“ ჩამოყალიბდება ინოვაციურ, „ოჯახური“ ტიპის, მცირე კონტიგენტზე მორგებულ საგანმანათლებლო კერად, შეესაბამება **ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში ასახულ მოთხოვნას, სკოლამ ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ, შემეცნებით, ზნეობრივ და სოციალურ** განვითარებას, ასევე შექმნას უსაფრთხო, კეთილგანწყობილი, ხელმისაწვდომი და კომუნიკაციის კულტურაზე დაფუძნებული გარემო.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა სკოლის ფილოსოფიის შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შემდეგ მიმართულებებთან:

ა) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე მოქალაქის აღზრდა.
სკოლა მიზნად ისახავს პასუხისმგებლიანი, საზოგადოებაზე ორიენტირებული და მოქალაქეობრივი ცნობიერების მქონე მოსწავლის აღზრდას. სკოლის ღირებულებები — პასუხისმგებლობა, ეთიკა, ხარისხი, თანამშრომლობა და გუნდურობა — ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და აქტიური მოქალაქეობის ჩამოყალიბებას.

გ) დემოკრატიული ღირებულებების, სამოქალაქო ცნობიერების, ტოლერანტობისა და სამართლიანობის განვითარება.
სკოლის ღირებულებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამშრომლობას, გუნდურობას, ჰუმანიზმსა და მრავალფეროვნების პატივისცემას. სკოლა გეგმავს

ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეები სწავლობენ ურთიერთპატივისცემას, სხვისი აზრის მოსმენას, სამართლიან ურთიერთობას, თანასწორობასა და პასუხისმგებლიან მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში. ეს პირდაპირ ეხმიანება დემოკრატიული კულტურისა და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას.

დ) ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების მქონე, წიგნიერი და პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდა. სკოლის მისია ხაზს უსვამს კრიტიკულად მოაზროვნე მოსწავლის აღზრდას, ხოლო სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ, აქტიური სწავლების მეთოდოლოგიას. სკოლის ხედვაში გამოკვეთილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლება, მონაცემებზე დაფუძნებული მართვა და აქტიური სწავლების მიდგომების დანერგვა. ეს უზრუნველყოფს მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, კვლევის, შემოქმედებითობისა და ფუნქციური ცოდნის განვითარების ხელშეწყობას.

ე) დამოუკიდებელი ცხოვრებისა და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მისაღებად მომზადებული პიროვნების აღზრდა. სკოლის ფილოსოფიის მიხედვით, თითოეული მოსწავლის უნიკალურობა, პირადი საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები მაქსიმალურად არის გათვალისწინებული. ინდივიდუალური მიდგომა, მცირე სასწავლო ჯგუფები, აკადემიური მენტორობა და სოციო-ემოციური მხარდაჭერა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშემეცნებას, პასუხისმგებლობას, დამოუკიდებლობას, პიროვნულ ზრდას და მთელი ცხოვრების განმავლობაში განვითარების უნარის ჩამოყალიბებას.

ვ) ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და უნივერსალური ეთიკური პრინციპების მატარებელი პიროვნების აღზრდა. სკოლის ღირებულებები — ჰუმანიზმი, მრავალფეროვნება, ტოლერანტობა, თანასწორობა, ეთიკა და პასუხისმგებლობა — სრულად შეესაბამება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული პიროვნების აღზრდის მიზანს. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლე სწავლობს სხვისი ღირსების პატივისცემას, თანაგრძნობას, ეთიკურ ქცევას, განსხვავებულობის მიღებას და ადამიანურ ურთიერთობებზე დაფუძნებულ პასუხისმგებლიან მოქმედებას.

თ) თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში ციფრული მოქალაქეობის უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება. სკოლის ხედვაში ხაზგასმულია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება და მონაცემებზე დაფუძნებული მართვის მოდელის დანერგვა. სკოლა იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ელექტრონულ ჟურნალს, ციფრულ რესურსებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში ტექნოლოგიური უნარების განვითარებას. ეს ქმნის საფუძველს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ტექნოლოგიური და ციფრული მიღწევების ეფექტიანად, უსაფრთხოდ და პასუხისმგებლიანად გამოყენება.

ამრიგად, შპს სკოლა „ჰორიზონტის“ მისია, ხედვა და ღირებულებები სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლა ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ წინსვლას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, ეთიკური და ჰუმანისტური ღირებულებების გაძლიერებას, ციფრული კომპეტენციების განვითარებას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პოტენციალის რეალიზებას.

სკოლის ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

შპს სკოლა „ჰორიზონტის“ მისია, ხედვა და ღირებულებები მკაფიოდ წარმოაჩენს სკოლის ადგილსა და როლს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ისე ადგილობრივ საზოგადოებაში. სკოლა თავს განიხილავს არა მხოლოდ ზოგადი განათლების მიმწოდებელ დაწესებულებად, არამედ ლოკალური თემის საჭიროებებზე მორგებულ, უსაფრთხო, მხარდამჭერ და სოციო-კულტურულ სივრცედ, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიურ, პიროვნულ, სოციალურ-ემოციურ და მოქალაქეობრივ განვითარებას.

სკოლა „ჰორიზონტი“ დაფუძნებულია იმ ხედვაზე, რომ ხარისხიანი განათლება განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როდესაც სასწავლო გარემო არის მცირე კონტიგენტზე მორგებული, უსაფრთხო, ემპათიური და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებაზე ორიენტირებული. სწორედ ამიტომ, სკოლა არ გეგმავს 168 მოსწავლეზე მეტი კონტიგენტის მიღებას, რაც ქმნის შესაძლებლობას, თითოეული მოსწავლე იყოს დანახული, მოსმენილი და მხარდაჭერილი როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების პროცესში.

სკოლის როლი საგანმანათლებლო სივრცეში გამოიხატება მოსწავლეზე ორიენტირებული, ჰუმანისტურ ღირებულებებზე დაფუძნებული და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნაში. სკოლა მიზნად ისახავს აღზარდოს თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლიანი, ეთიკური და თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადმყოფი მოქალაქეები. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა ეფუძნება აქტიური სწავლების მიდგომებს, ინდივიდუალურ მხარდაჭერას, თანამშრომლობით კულტურას, ხარისხის უწყვეტ განვითარებასა და მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას.

საზოგადოებაში სკოლის როლი უკავშირდება თემთან თანამშრომლობასა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას. სკოლა გეგმავს, რომ სასკოლო სივრცე გახდეს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და თემის წარმომადგენლების ურთიერთობის, ცოდნის გაზიარების, შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და სოციალური ინიციატივების განხორციელების ადგილი. ამ თვალსაზრისით, სკოლა ქმნის არა მხოლოდ სასწავლო, არამედ სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრებს ექნებათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ საქმიანობაში.

სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო გარემო ხელს უწყობს აღნიშნული როლის განხორციელებას. ბიბლიოთეკა, მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცეები, სპორტული და საერთო სარგებლობის სივრცეები გამოიყენება არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესისთვის, არამედ მოსწავლეთა ინტერესების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობისა და არაფორმალური განათლების ხელშესაწყობად. სკოლა ბიბლიოთეკას განიხილავს როგორც ცოდნის, წიგნიერების, გამოცდილების გაზიარებისა და სასკოლო საზოგადოების ინტელექტუალური ურთიერთობის მნიშვნელოვან რგოლს.

სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უსაფრთხოებისა და ნდობის კულტურას. „ჰორიზონტის“ ღირებულებებში უსაფრთხოება, ნდობა და „ოჯახური გარემო“ განისაზღვრება როგორც სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი. სკოლა ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად, მიღებულად და დაფასებულად; სადაც მშობელი სკოლის პარტნიორია; მასწავლებელი კი არა მხოლოდ

შპს სკოლა „ჰორიზონტი“ საგანმანათლებლო სივრცეში ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი როგორც მცირე, მზრუნველი, ინოვაციური და ხარისხზე ორიენტირებული სკოლა, რომელიც აერთიანებს აკადემიურ განვითარებას, პიროვნულ მხარდაჭერას, უსაფრთხო გარემოს, ინკლუზიურობას, ტექნოლოგიურ განვითარებასა და თემთან აქტიურ ურთიერთობას. **ამგვარად, სკოლა საკუთარ როლს ხედავს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაღრმავებაში, არამედ მისი ღირსეული, პასუხისმგებლიანი, შემოქმედებითი და საზოგადოებაზე ორიენტირებული პიროვნების ჩამოყალიბებაში.**

ამრიგად, შპს სკოლა „ჰორიზონტის“ მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოაჩენს სკოლას როგორც ადგილობრივ თემზე ორიენტირებულ, უსაფრთხო, მხარდამჭერ და სოციო-კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეს. სკოლა ქმნის გარემოს, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს განვითარების, ჩართულობის, თანამშრომლობისა და თვითრეალიზების შესაძლებლობა, ხოლო მოსწავლე ყალიბდება როგორც ცოდნით, ღირებულებებითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი მოქალაქე.

სკოლის დაგეგმვა და განვითარება

შპს სკოლა „ჰორიზონტს“ შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სკოლის გრძელვადიანი განვითარების მიმართულებებს, სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და მათი განხორციელების ძირითად გზებს. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და წარმოადგენს სკოლის ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განხორციელდა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, ლოკალური თემის საჭიროებებისა და ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით. დაგეგმვისას სკოლამ გაითვალისწინა როგორც სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები, ისე სკოლის განვითარებისათვის აუცილებელი ძირითადი მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხი, ადამიანური რესურსის მოზიდვა და განვითარება, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები, საზოგადოებასთან კომუნიკაცია, ხარისხის უზრუნველყოფა და სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნა საჭიროებების შეფასებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. სკოლამ ჩაატარა გამოკითხვები და გაითვალისწინა პოტენციური მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარება ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ხედვას, არამედ სასკოლო საზოგადოების რეალურ საჭიროებებსა და მოლოდინებს.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა თავსებადია სკოლის ფილოსოფიასთან. სკოლის მისია — შექმნას ლოკალური თემის საჭიროებებზე მორგებული, მცირეკონტიგენტიანი, უსაფრთხო, ემპათიური და მხარდამჭერი საგანმანათლებლო სივრცე — ასახულია სტრატეგიული განვითარების მიმართულებებში. სტრატეგიული დაგეგმვა ემსახურება იმ მიზანს, რომ სკოლა ჩამოყალიბდეს ინოვაციურ, „ოჯახური“ ტიპის, მონაცემებზე დაფუძნებული მართვის მქონე საგანმანათლებლო ორგანიზაციად, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აკადემიურ და სოციო-ემოციურ მხარდაჭერას.

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული მიზ**ნების პრაქტიკული განხორციელების ინსტრუმენტს და მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, საჭირო რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს. ამგვარი კავშირი უზრუნველყოფს, რომ სკოლის ყოველდღიური საქმიანობა იყოს თანმიმდევრული, მიზანმიმართული და დაკავშირებული გრძელვადიან განვითარებასთან.

სკოლის დაგეგმვისა და განვითარების პროცესი ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების **ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება**. სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებას განიხილავს როგორც ცოცხალ პროცესს, რომელიც საჭიროებს პერიოდულ გადახედვას, მიღწეული შედეგების ანალიზს, გამოწვევების იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვას.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები სკოლას აძლევს შესაძლებლობას, პერიოდულად შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების შესრულების ხარისხი, განსაზღვროს მიღწეული პროგრესი, გამოავლინოს ხარვეზები და მიღებული მონაცემები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები შეიძლება აისახოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დაზუსტებაში, რესურსების გადანაწილებაში, პერსონალის მხარდაჭერის ღონისძიებებში, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სხვა მართვით გადაწყვეტილებებში.

სკოლის განვითარება ასევე უკავშირდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსის, უსაფრთხოების, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ფინანსური რესურსების პერიოდულ შეფასებას. მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება სკოლის განვითარების გეგმების დასაზუსტებლად და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე უკეთ მორგებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამრიგად, შპს სკოლა „ჰორიზონტის“ დაგეგმვა და განვითარება ეფუძნება დამტკიცებულ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, მის საფუძველზე შემუშავებულ ერთწლიან სამოქმედო გეგმას, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირსა და უწყვეტი გაუმჯობესების მიდგომას. აღნიშნული უზრუნველყოფს სკოლის გრძელვადიანი განვითარების მიზანმიმართულობას, საქმიანობის თანმიმდევრულობას, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას და სკოლის მისიის პრაქტიკულ განხორციელებას.

საგნობრივი კათედრები და მათი მუშაობის პრინციპები

სკოლაში ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა:

1. სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის,ისტორიის,სამოქალაქო განათლების,მე და საზოგადოებისა და გეოგრაფიისმასწავლებლები;
2. მათემატიკის,ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის,ჭადრაკის,კომპიუტერული ტექნოლოგიების ,ფიზიკის,ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები;
3. უცხოური ენების,ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა,რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის, (რუსულის) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების,მუსიკისა ფიზიკური აღზრდისა დასპორტის მასწავლებლები;
4. დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.

კათედრების ფუნქციებია:

1. **საგნობრივი ჯგ**უფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირების განხორციელება;
1. რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
2. **კათედრის წევრთა შორ**ის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
3. **საგაკვეთილო პროცესისთვის,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
4. **სხვა საგნებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურ**სიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
5. **მასწავლებლის პროფესიული განვითარ**ებისთვის ზრუნვა;
6. თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წარმოშობილი პრობლემის განხილვა/გადაჭრა;

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, პირველი სემესტრის დაწყებამდე და ყოველი სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). კათედრა აუცილებლად იკრიბება სასწავლო წლის დაწყებამდე.

სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის დებულება, რომელიც განსაზღვრავს კათედრის მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქციებს, თავმჯდომარის არჩევის წესს, კათედრის წევრების და თავმჯდომარის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციებს და სხვა.

2026-2027 სასწავლო წლის კალენდარი

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ 2026–2027 სასწავლო წლის ორგანიზება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების, სკოლის საგანმანათლებლო მიზნების, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპების გათვალისწინებით.

სასწავლო წელი იწყება **2026 წლის 15 სექტემბერს** და სრულდება **2027 წლის 15 ივნისს**.

2026–2027 სასწავლო წლის კალენდარი განისაზღვრება შემდეგნაირად:

თვე	სასწავლო დღეების რაოდენობა
სექტემბერი	12 სასწავლო დღე

ოქტომბერი	21 სასწავლო დღე
ნოემბერი	20 სასწავლო დღე
დეკემბერი	21 სასწავლო დღე
იანვარი	10 სასწავლო დღე
თებერვალი	20 სასწავლო დღე
მარტი	17 სასწავლო დღე
აპრილი	20 სასწავლო დღე
მაისი	I კლასი — 15 დღე; II–XI კლასები — 17 დღე; XII კლასი — 11 დღე
ივნისი	11 სასწავლო დღე

სასწავლო დღეების ჯამი საფეხურების/კლასების მიხედვით:

კლასი/კლასები	სასწავლო დღეების რაოდენობა
I კლასი	156 სასწავლო დღე
II–XI კლასები	169 სასწავლო დღე
XII კლასი	152 სასწავლო დღე

I კლასისთვის სასწავლო წელი სრულდება **2027 წლის 27 მაისს**.
XII კლასისთვის სასწავლო წელი სრულდება **2027 წლის 20 მაისს**.
II–XI კლასებისთვის სასწავლო წელი სრულდება **2027 წლის 15 ივნისს**.

არდადეგები:

არდადეგები	პერიოდი
ზამთრის არდადეგები	30.12.2026 – 14.01.2027
საგაზაფხულო არდადეგები	08.03.2027 – 14.03.2027
საადგომო არდადეგები	30.04.2027 – 03.05.2027

უქმე დღეები:

თარიღი	უქმე დღე
14.10.2026	მცხეთობის დღე
23.11.2026	გიორგობის დღე
01–02.01.2027	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
07.01.2027	ქრისტეს შობის დღე
19.01.2027	ნათლისღება
03.03.2027	დედის დღე
08.03.2027	ქალთა საერთაშორისო დღე
09.04.2027	სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
12.05.2027	ანდრია მოციქულის ხსენების დღე
17.05.2027	ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე

26.05.2027	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

სკოლაში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

1. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა **35 წუთი**;
2. II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა **40 წუთი**;
3. III–XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა **45 წუთი**.

გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი. კერძოდ, სკოლამ შესაძლოა ხანმოკლე ვადით შეცვალოს — გაზარდოს ან შეამციროს — გაკვეთილების განრიგი, თუმცა გაკვეთილის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს **30 წუთზე ნაკლები**.

სასწავლო წლის კალენდარი, არდადეგები, უქმე დღეები, სასწავლო დღეების რაოდენობა და გაკვეთილების ხანგრძლივობა გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის, საათობრივი ბადის განხორციელების, საგაკვეთილო ცხრილის შედგენისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სასწავლო დღის ორგანიზებისთვის.

დამრიგებლის მუშაობის პრინციპები

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ სადამრიგებლო მუშაობა წარმოადგენს მოსწავლეთა აღზრდის, მხარდაჭერის, სოციალური ინტეგრაციისა და პიროვნული განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს. სადამრიგებლო მუშაობის პრინციპები ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის ამოცანებს.

სადამრიგებლო მუშაობა მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური და მოქალაქეობრივი განვითარების ხელშეწყობას. დამრიგებლის საქმიანობა მიმართულია იმგვარი გარემოს შექმნისკენ, სადაც თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს უსაფრთხოდ, დაფასებულად, მხარდაჭერილად და სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვან წევრად.

თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებლის კანდიდატურას **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სკოლის დირექტორი**. დამრიგებელი თანამშრომლობს სკოლის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, საგნის მასწავლებლებთან, ფსიქოლოგთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და საჭიროების შემთხვევაში სხვა პასუხისმგებელ პირებთან.

დამრიგებლის მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებებისა და

მოვალეობების გააზრებას. დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს პრობლემების აღმოჩენასა და დაძლევაში, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და შემდგომ განვითარებაში.

კლასის დამრიგებლის როლი მნიშვნელოვანია სადამრიგებლო კლასში მშვიდი, საქმიანი, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად. დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, კონფლიქტების პრევენციას, ურთიერთპატივისცემის, ემპათიის, პასუხისმგებლობისა და გუნდური მუშაობის კულტურის განვითარებას.

დამრიგებელი დირექტორის მოადგილესთან შეთანხმებით შეიმუშავებს სადამრიგებლო პროგრამას და „სადამრიგებლო საათისთვის“ სასაუბრო თემებს. სადამრიგებლო პროგრამა იგეგმება კლასის ასაკობრივი თავისებურებების, საჭიროებების, ინტერესებისა და სკოლის აღმზრდელობითი პრიორიტეტების გათვალისწინებით. აქტივობები **შეიძლება განხორციელდეს როგორც კლასში და სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, მათ შორის ექსკურსიის, ლაშქრობის, მუზეუმში ვიზიტის, თემატური შეხვედრის, სოციალური პროექტის ან სხვა არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობის სახით.**

სასწავლო წლის დაწყებისას დამრიგებელი მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის ძირითად დოკუმენტაციასა და რეგულაციებს, მათ შორის:

- სკოლის შინაგანაწესს;
- მოსწავლის ქცევის კოდექსს;
- გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებსა და პირობებს;
- ევაკუაციის გეგმას, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმასა და ქცევის წესებს;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს;
- მოსწავლეთა შეფასების ზოგად სისტემას;
- სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაციას.

დამრიგებელი რეგულარულად ატარებს სადამრიგებლო საათს. დაწყებით საფეხურზე სადამრიგებლო საათი ტარდება **არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ,** ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე — **არანაკლებ თვეში ერთხელ. სა**დამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლეთა კრიტიკული, ანალიტიკური, შემოქმედებითი და სოციალური აზროვნების განვითარება, ასევე კლასის საჭიროებებზე რეაგირება და მოსწავლეთა მხარდაჭერა.

დამრიგებელი პერიოდულად განიხილავს მოსწავლეებთან ერთად კლასის წარმატებებს, გამოწვევებსა და წამოჭრილ პრობლემებს; ეხმარება მათ სამომავლო გეგმების დასახვაში, პასუხისმგებლობის განაწილებაში, საკუთარი ქცევის გააზრებასა და პრობლემების მშვიდობიანად გადაჭრაში.

დამრიგებელი სასწავლო დღის დაწყებამდე დროულად ცხადდება სკოლაში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მეთვალყურეობს სადამრიგებლო კლასს. იგი აკვირდება მოსწავლეთა დასწრებას, დაგვიანებას, ქცევას, ჩაცმულობას, სასკოლო წესების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

დამრიგებელი ვალდებულია:

1. **მიიღოს და აწარმოოს სადამრიგებლო კლასის** საჭირო დოკუმენტაცია;
2. **ახალი კლასის მიღების შემთხვევაში,** ყოფილი დამრიგებლისგან ჩაიბაროს კლასის დოკუმენტაცია და საჭირო ინფორმაცია;
3. **საჭიროების შემთხვევაში** გაეცნოს კლასის მოსწავლეთა ინდივიდუალურ დახასიათებებს;
4. **თვალყური ადევნოს კლასს** შესვენებების დროს;
5. **დირექციას გადასცეს ხშირი გაცდენების** მქონე მოსწავლეთა სია;
6. **დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური, ქცევითი**, სოციალური ან სხვა ტიპის პრობლემის გადაჭრაში;
7. **უზრუნველყოს ეფექტური კომუნიკაცია** მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და მასწავლებლებს შორის;
8. **შექმნას კეთილგანწყობილი, პ**არტნიორული და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მშობლებთან;
9. **ექსკურსიის ან გასვლითი აქტივობის** დაგეგმვის შემთხვევაში, წინასწარ შეათანხმოს საკითხი სკოლის დირექტორთან;
10. **მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარ**მომადგენლებს გააცნოს გაკვეთილების გაცდენის შედეგად მოსალოდნელი შედეგები;
11. **მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში**, უზრუნველყოს მიმღები სკოლისათვის მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დასწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დადგენილი წესით;
12. **ინდივიდუალური შეხვედრების დ**როს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, დასწრება, ქცევა და განვითარების საჭიროებები;
13. **დროულად აცნობოს მშობელს/კანონიერ წ**არმომადგენელს მოსწავლის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ;
14. **ყოველი სემესტრის ბოლოს აცნობოს მშობელს/კანონიერ** წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ;
15. **გამოიკვლიოს მოსწავლის გაკვეთილის გაცდენის ან დაგვიან**ების მიზეზი და **საჭიროების შემთხვევაში აცნობოს მშობელს/კანონიერ წ**არმომადგენელს;
16. **საჭიროების შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმ**ომადგენელს დაუკავშირდეს ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ელექტრონული ჟურნალით ან სხვა შეთანხმებული საშუალებით;

17. **შეიტანოს მოსწავლის პირად საქმეში** ყველა საჭირო ჩანაწერი;
18. **აკონტროლოს მოსწავლეთა ჩაცმულობ**ა და ქცევის წესების დაცვა;
19. **სკოლის დირექციასთან შეთანხმებ**ით პერიოდულად ჩაატაროს მშობელთა და მოსწავლეთა კრებები;
20. **სასწავლო წლის ბოლოს მოამზადოს სა**დამრიგებლო კლასის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ქცევის ანალიზი.

დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევის, აკადემიური მოსწრების ან პირადი საკითხების განხილვა სხვა მოსწავლის მშობელთან ან მესამე პირის თანდასწრებით. დამრიგებელი ვალდებულია დაიცვას მოსწავლისა და ოჯახის შესახებ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

თუ მოსწავლე ზედიზედ 10 სასწავლო დღეს აცდენს სკოლას, დამრიგებელი მე-10 დღეს ამზადებს წერილობით ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენასთან დაკავშირებით. წერილობითი ანგარიში ასევე მზადდება ზედიზედ მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაშიც. **დამრიგებლის ანგარიში უნდა მოიცავდეს:**

1. **მოსწავლის მიერ** სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად გატარებულ ღონისძიებებს;
2. **სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩასართავად გ**ატარებულ ღონისძიებებს;
3. **გატარებული ღონისძიებების შედეგად** მიღწეული შედეგის შესახებ ინფორმაციას.

დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

მოსწავლის ჰოლისტური განვითარება — სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური, სოციალური და ზნეობრივი განვითარებისკენ. მისი მთავარი ამოცანაა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანსაღი, პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება.

ინდივიდუალური მიდგომა — ყველა მოსწავლე უნიკალურია და განსხვავებული ნიჭით, ინტერესებითა და შესაძლებლობებით გამოირჩევა. დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება და მისი უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ჩართულობა და თანამონაწილეობა — დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეთა მონაწილეობას კლასისა და სკოლის ცხოვრების დაგეგმვაში, ღონისძიებების, ექსკურსიების, ლაშქრობების, პროექტებისა და სხვა აქტივობების ორგანიზებაში. მოსწავლეთა ჩართულობა ავითარებს პასუხისმგებლობას, დამოუკიდებლობას, თანამშრომლობის უნარსა და პრობლემების გადაჭრის გამოცდილებას.

თანამშრომლობა და ნდობა — დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას, თანამშრომლობას, ნდობასა და კეთილგანწყობას. დამრიგებლის მიზანია კლასში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ აზრს, პატივს სცემენ ერთმანეთს და ერთად ზრუნავენ საერთო მიზნების მიღწევაზე.

პარტნიორობა მშობლებთან — დამრიგებელი მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს განიხილავს მოსწავლის განვითარების მნიშვნელოვან პარტნიორად. მშობელთან ეფექტური, რეგულარული და ეთიკური კომუნიკაცია ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიურ წინსვლას, ქცევით მხარდაჭერას და სასკოლო გარემოსთან პოზიტიურ კავშირს.

უსაფრთხოება და კეთილდღეობა — დამრიგებელი ზრუნავს, რომ მოსწავლეებმა თავი იგრძნონ დაცულად, მიღებულად და დაფასებულად. იგი ხელს უწყობს კლასში ემოციურად უსაფრთხო, მშვიდი და მეგობრული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

პასუხისმგებლობა და მოქალაქეობრივი ცნობიერება — დამრიგებლის მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გააზრებას, წესების პატივისცემას, საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, სამართლიანობას, ემპათიასა და აქტიური მოქალაქეობის კულტურის განვითარებას.

დამრიგებლის საქმიანობა არის სკოლის აღმზრდელობითი სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი და ემსახურება შპს სკოლა „ჰორიზონტის“ მისიის განხორციელებას — უსაფრთხო, ემპათიური, მხარდამჭერი და მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

1. შეფასების მიზანი

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა. შეფასება, ერთი მხრივ, ემსახურება მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის დანახვასა და მხარდაჭერას, ხოლო, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს, ანალიზსა და გაუმჯობესებას.

შეფასება სკოლაში განიხილება როგორც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. იგი უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ ვითარდება მოსწავლე, როგორ ახერხებს ცოდნის კონსტრუირებას, როგორ იყენებს მიღებულ ცოდნას სხვადასხვა კონტექსტში და რა სახის მხარდაჭერა სჭირდება მას შემდგომი წინსვლისთვის.

2. მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანებია:

1. **აჩვენოს, როგორ მიმდინარეობ**ს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და როგორ უკავშირდება ახალი ცოდნა უკვე არსებულ ცოდნას;
2. **ახალი სასწავლო საკითხის ან თემის** დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენები და შესაძლო სირთულეები;
3. **გამოავლინოს, რამდენად ახერხებ**ს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გააზრებას;
4. **დაეხმაროს მოსწავლეს ს**აკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვასა და გაუმჯობესებაში;
5. ***მოიცვას ცოდნის სამივე კატეგორია — დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნა;***
6. **აჩვენოს, რამდ**ენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ფუნქციურად გამოყენებას რეალურ, შინაარსიან და საგნობრივ კონტექსტებში;
7. **შექმნას მონაცემები მტკიცებულებ**ებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

შეფასების ამოცანების მისაღწევად სკოლაში უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომლებიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ერთდროულად გამოიყენოს ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.

3. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ გამოიყენება შეფასების ორი ძირითადი ფორმა: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.**

განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობა, სწავლის პროცესში არსებული სირთულეების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვა.

განმავითარებელი შეფასებით ფასდება:

1. ცოდნის კონსტრუირების პროცესი;
2. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარი;
3. წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
4. მოსწავლის მიერ საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გააზრება;
5. ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი;
6. ცოდნის ფუნქციურად გამოყენების უნარი;
7. სწავლის სტრატეგიების გამოყენება.

განმავითარებელი შეფასება შეიძლება განხორციელდეს ზეპირი ან წერილობითი უკუკავშირის, დაკვირვების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, მასწავლებლის კომენტარის, პორტფოლიოს, რუბრიკის, საკლასო აქტივობის ან სხვა ფორმით.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება აფასებს, რამდენად ფლობს მოსწავლე საგნობრივ ცოდნას, რამდენად ახერხებს ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებას და რამდენად შეუძლია მიღებული ცოდნის ფუნქციურად გამოყენება შესაბამის კონტექსტში.

4. მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

სკოლაში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 არის ყველაზე მაღალი ქულა, ხოლო 1 — ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა იძლევა მოსწავლის მიღწევის უფრო ზუსტად შეფასების შესაძლებლობას და მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის პროგრესისა თუ საჭიროებების უკეთ წარმოჩენაში.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეები

ქულები	შეფასების დონე
10	მაღალი
9	მაღალი
8	საშუალოზე მაღალი
7	საშუალოზე მაღალი
6	საშუალო
5	საშუალო
4	საშუალოზე დაბალი
3	საშუალოზე დაბალი
2	დაბალი
1	დაბალი

I–IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. აღნიშნულ კლასებსა და პერიოდში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. სასწავლო წლის ბოლოს საგნის მასწავლებელი წერს მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც ასახავს მოსწავლის მიღწევებს, პროგრესს, ძლიერ მხარეებს და მიუთითებს, რა მიმართულებით სჭირდება მოსწავლეს მხარდაჭერა.

IV კლასის ბოლოს კლასის დამრიგებელი, საკუთარი დაკვირვებისა და საგნის მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამზადებს მოსწავლის შემაჯამებელ წერილობით შეფასებას.

V კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით.

V კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: **ჩაეთვალა / არ ჩაეთვალა**.

5. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი კომპონენტები

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიდგომებს და სწავლა-სწავლების პროცესში მიღებულ მტკიცებულებებს. შეფასებისას გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო აქტივობები, ისე შემაჯამებელი დავალებები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. კონკრეტული სასწავლო მონაკვეთის — თემის, თავის, საკითხის ან სასწავლო ერთეულის — დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.

I–IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI–XII კლასებში შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება.

კლასები/საფეხური	შეფასების ფორმა
I–IV კლასები და V კლასის I სემესტრი	მხოლოდ განმავითარებელი შეფასება

V კლასის II სემესტრი და VI კლასი	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება
VII–XII კლასები	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შემაჯამებელი დავალებები უნდა იყოს შინაარსიანი, კონტექსტის მქონე და მოსწავლეს აძლევდეს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას. ასეთი დავალებები შეიძლება იყოს: ესე, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა, პრეზენტაცია, კვლევითი დავალება, შემოქმედებითი ნამუშევარი, მონაცემთა ანალიზი, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიში და სხვა.

შემაჯამებელი დავალებების შეფასებისას მასწავლებელი იყენებს წინასწარ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებს ან რუბრიკას, რომელიც მოსწავლეებისთვის გასაგები და ხელმისაწვდომია.

6. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა სავალდებულო შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალების გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა დავალების აღდგენის შესაძლებლობა. აღდგენა ხორციელდება მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი სემესტრის დასრულებამდე.

მოსწავლის მობილობის შემთხვევაში შემაჯამებელი დავალების აღდგენა უნდა განხორციელდეს სკოლის მიერ მოსწავლის ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

შემაჯამებელი დავალების აღდგენის ფორმას, ვადასა და პირობებს განსაზღვრავს საგნის მასწავლებელი დირექტორის მოადგილესთან შეთანხმებით, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

7. ქულების გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული განმსაზღვრელი შეფასებების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე და მრგვალდება **მთელის სიზუსტით.**

საგნის წლიური ქულა გამოითვლება საგნის I და II სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე და **მრგვალდება მთელის** სიზუსტით.

საგნის საფეხურის ქულა გამოითვლება საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

საფეხურის საერთო ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე და მრგვალდება **მეათედის სიზუსტით.**

თუ საგანი ფასდება ჩათვლის სისტემით, მოსწავლემ უნდა მიიღოს შეფასება **„ჩაეთვალა“.** აღნიშნული შეფასება არ მონაწილეობს საშუალო ქულის გამოთვლაში.

8. კლასისა და საფეხურის დაძლევა

კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს „ჩათვლა“ იმ საგნებში, სადაც გამოიყენება არადიფერენცირებული შეფასება.

დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაძლეული აქვს დაწყებითი საფეხურის შესაბამისი კლასები და საგნები.

საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა **არის 5.0** ან მეტი და მას დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი. აღნიშნული აძლევს მოსწავლეს საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა არის 5.0 ან მეტი და მას დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

9. შეფასება და გაცდენები

მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიურ აღრიცხვაზე **პასუხისმგებელია საგნის** მასწავლებელი. მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას.

თუ საბაზო ან საშუალო საფეხურზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის დათმობილი **საათების 30% ან** მეტი გააცდინა, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

აღნიშნულ 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი მოსწავლემ მოგვიანებით აღადგინა აღნიშნული დავალება.

სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სჭირდება მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული დასტურდება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტით. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე არ **გავრცელდება 30%-იან**ი გაცდენის საფუძველზე ექსტერნატის გამოცდის მოთხოვნა.

იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ ან საერთაშორისო სპორტულ, სახელოვნებო, საგნობრივ ან სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება 30%-იანი გაცდენის მოთხოვნის კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის შესახებ.

10. გამოცდის ტიპები

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

1. სემესტრული გამოცდა;
2. საშემოდგომო გამოცდა;
3. ექსტერნატის გამოცდა.

10.1. სემესტრული გამოცდა

სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ან მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს:

- *პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში — მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში;*
- *მეორე სემესტრის შეფასების შემთხვევაში — სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.*

დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. არდაშვების შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარებას.

სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და მიღებული ჯამი იყოფა ორზე.

პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა — სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

10.2. საშემოდგომო გამოცდა

თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა მოსწავლეს უნიშნავს საშემოდგომო გამოცდას შესაბამის საგანში.

საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა მოსწავლეს **სთავაზობს რემედიაციის პროგრამას** ან/და კონსულტაციებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა გამოცდა.

მოსწავლე საგნის წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადებსა და ფორმას განსაზღვრავს სკოლა შესაბამისი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, მოსწავლეთა საჭიროებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

10.3. ექსტერნატის გამოცდა

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის ან კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად.

ექსტერნატის გამოცდა ასევე ეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც საბაზო ან საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის გათვალისწინებული საათების 30% ან მეტი აქვთ გაცდენილი.

11. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

შეფასების მაღალი დონე — 9 და 10 ქულა — გულისხმობს მოსწავლის მაღალ აკადემიურ მიღწევას.

მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10, დამრგვალების გარეშე, მოქმედი წესის შესაბამისად იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.

მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი, მოქმედი წესის შესაბამისად იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.

ოქროსა და ვერცხლის მედლის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დიაგნოსტიკური წერები

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ დიაგნოსტიკური წერები გამოიყენება მოსწავლეთა ცოდნის დონის, საჭიროებებისა და სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების დასადგენად. დიაგნოსტიკური წერის მიზანია პრობლემის აღმოჩენა და გაუმჯობესების გზების დაგეგმვა.

2026–2027 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური წერები შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. მათემატიკა;
3. პირველი უცხოური ენა.

*დიაგნოსტიკური წერის შედეგები ნიშანზე გავლენას არ ახდენს. მისი შედეგები გამოიყენება მოსწავლის მხარდაჭერის, დამატებითი მეცადინეობის, რ**ემედიაციის** ან სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.*

თუ დიაგნოსტიკური წერის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა, სკოლა შესაბამისი საგნის მასწავლებელთან, დამრიგებელთან და საჭიროების შემთხვევაში დირექტორის მოადგილესთან შეთანხმებით დაგეგმავს დამატებით სამუშაოს, კონსულტაციას ან სხვა მხარდამჭერ ღონისძიებას.

საათობრივი ბადე

შპს სკოლა „ჰორიზონტის“ სასკოლო სასწავლო გეგმა შეიცავს დასწრებითი სწავლების სასკოლო საათობრივ ბადეს, რომელიც შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების, სკოლის საგანმანათლებლო მიზნების, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსების, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

***სასკოლო** საათობრივი ბადე განსაზღვრავს თითოეული კლასისა და საგნისთვის განკუთვნილი წლიური ჯამური საათების რაოდენობას. იგი უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების სწავლების ორგანიზებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე და ქმნის საფუძველს* სასწავლო პროცესის თანმიმდევრული, დაბალანსებული და მიზნობრივი წარმართვისთვის.

საათობრივი ბადე ასევე მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელშიც დაზუსტებულია კვირის რომელ დღეს, რა თანმიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში ისწავლება კონკრეტული საგანი. გაკვეთილების განრიგი შედგენილია მოსწავლეთა დატვირთვის, საგნობრივი ბალანსის, დასვენებისა და სასწავლო დღის ეფექტიანი ორგანიზების გათვალისწინებით.

სკოლა საათობრივი ბადის შედგენისას ითვალისწინებს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს, სასწავლო დღის ხანგრძლივობას, გაკვეთილების ხანგრძლივობას, ასაკობრივ საჭიროებებსა და სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის აუცილებლობას. საგაკვეთილო განრიგი ისე იგეგმება, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ყურადღების შენარჩუნებას, სასწავლო მასალის გააზრებასა და საგნობრივი შედეგების მიღწევას.

სკოლის მიერ შეთავაზებული საგნობრივი დატვირთვა ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას. საათობრივი ბადის დაგეგმვისას სკოლა ცდილობს უზრუნველყოს როგორც ფუნდამენტური აკადემიური საგნების სწავლება, ისე მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და განვითარების საჭიროებების გათვალისწინება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერების, უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, ესთეტიკური, ტექნოლოგიური და ფიზიკური განვითარების მიმართულებებს.

არჩევითი საგნების განსაზღვრა განხორციელდება მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით,გადაწყვეტილება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირებული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე მიიღება. **აღნიშნული გამოკითხვა ჩატარდება მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვისთანავე.** აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ არჩევითი საგნები შეირჩეს არა ფორმალურად, არამედ მოსწავლეთა რეალურ ინტერესებზე, საგანმანათლებლო საჭიროებებსა და სკოლის რესურსულ შესაძლებლობებზე დაყრდნობით.

ანკეტირებული გამოკითხვის საფუძველზე სკოლა დაადგენს, რომელი არჩევითი საგნები იქნება ყველაზე რელევანტური საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მიღებული მონაცემები გაანალიზდება სკოლის ადმინისტრაციისა და შესაბამისი პედაგოგიური რგოლების მიერ, რის შემდეგაც სკოლა განსაზღვრავს არჩევით საგნებს, მათ საათობრივ დატვირთვასა და განხორციელების პირობებს.

სკოლის საათობრივი ბადე, ყოველდღიური განრიგი და არჩევითი საგნების შეთავაზება შეიძლება საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს სასწავლო წლის დაწყებამდე ან სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადამიანური რესურსის, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

მომავალი 2026–2027 სასწავლო წლის საათობრივი ბადე და საგაკვეთილო ცხრილი აგებულია I–XII კლასების სრული სტრუქტურის გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების, სკოლის საგანმანათლებლო მიზნებისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპების შესაბამისად. ვინაიდან შპს სკოლა „ჰორიზონტი“ ახლადდაფუძნებული სკოლაა და სასწავლო წლის დაწყებამდე ვერ დაზუსტდება, რომელი კლასები დაკომპლექტდება და რამდენი მოსწავლე ჩაირიცხება თითოეულ კლასში, ამ ეტაპზე სკოლას შემუშავებული აქვს ყველა — I–XII — კლასის საათობრივი ბადე და საგაკვეთილო ცხრილი.

ჩარიცხული მოსწავლეების რაოდენობისა და კლასების ფაქტობრივი დაკომპლექტების შესაბამისად, სკოლა საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს საათობრივი ბადის და **საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირებას. ცვლილებები განხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების, მოსწა**ვლეთა ასაკობრივი თავისებურებების, კლასების რაოდენობის, ადამიანური რესურსის, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებისა და სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის აუცილებლობის გათვალისწინებით.

საათობრივი ბადისა და საგაკვეთილო ცხრილის ნებისმიერი ცვლილება მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ, დაბალანსებულ და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ წარმართვას. ცვლილებების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის განახლებას, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და სასწავლო პროცესის უწყვეტობის დაცვას.

ამრიგად, შპს სკოლა „ჰორიზონტის“ საათობრივი ბადე წარმოადგენს სასწავლო პროცესის ორგანიზების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. იგი განსაზღვრავს საგნების წლიურ საათობრივ დატვირთვას, ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, საგნობრივ ბალანსს და არჩევითი საგნების შეთავაზების საფუძველს. საათობრივი ბადის მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სკოლის მისიის შესაბამისი ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა.

საათობრივი ბადე დაწყებითი საფეხურისთვის

	კლასები და სემესტრები	I კლასი		II კლასი		III კლასი		IV კლასი		V კლასი		VI კლასი	
	საგანი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფო ენა												
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	7	7	6	6	6	6	5	5	5	5
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	4/5	4/5	5	5	5	5	5	5	5	5	4	4
	უცხოური ენები												

3	პირველი უცხოური ენა	0	2	2	2	3	3	3	3	3	3	3	3
4	მეორე უცხოური ენა									2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
5	მე და საზოგადოება					2	2	2	2				
6	ჩვენი საქართველო									2	2	3	3
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
7	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	3	3	3
	ტექნოლოგიები												
8	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	0/1	0/1	1	1	1	1	1	1	2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა												
9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
10	მუსიკა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი												
11	ფიზიკური აღზრდა	3	3	3	3	3	3	3	3	2	2	2	2
12	ჭადრაკი	1	1	1	1								
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**22**	**24**	**25**	**25**	**26**	**26**	**26**	**26**	**28**	**28**	**28**	**28**

საათობრივი ბადე საბაზო საფეხურისთვის

	კლასები	VII კლასი		VIII კლასი		IX კლასი	
	საგნები	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფო ენა						
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5	5	5
	მათემატიკა						
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5
	უცხოური ენები						
3	პირველი უცხოური ენა	3	3	3	2	2	2
4	მეორე უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	ისტორია	2	2	2	3	3	3
6	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
7	სამოქალაქო განათლება	2	2	1	1	2	2
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
8	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
9	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
10	ქიმია			2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა						
11	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	1	1	2
12	მუსიკა	2	2	1	2	2	1
	სპორტი						
13	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	2	2	2	2	2

სულ საათების რაოდენობა	31	31	31	31	32	32

საათობრივი ბადე საშუალო საფეხურისთვის

	კლასები	X კლასი		XI კლასი		XII კლასი	
	საგნები	I ს	II ს	I ს	II ს	I ს	II ს
	სახელმწიფო ენა						
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5	5	5
	მათემატიკა						
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5
	უცხოური ენები						
3	პირველი უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
4	მეორე უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	ისტორია	2	2	2	2	2	2
6	საქართველოს ისტორია	2	2	2	2	2	2
7	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
8	მოქალაქეობა	2	2	2	2	2	2
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
9	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
10	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
11	ქიმია	2	2	2	2	2	2
	სპორტი						

12	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	2	2	1	2	2
	არჩევითი საგნები						
13	არჩევითი საგანი	2	2	2	2	2	
სულ საათების რაოდენობა		**32**	**32**	**32**	**31**	**32**	**30**
პროექტი სამოქალაქო განათლებაში		1	1	1	1	1	
პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში / მუსიკაში		1	1	1	1		

შინსწავლება

სკოლა ვალდებულია შინსწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

სკოლის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი, ახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს; **(შესაძლებელია განსაზღვრული მასწავლებლი არ ასწავლიდეს შინსწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეს**).

მოსწავლის შინსწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.~

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.*

2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;

ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

გ) სწავლის უნარის დარღვევა;

დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;

ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

3. *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება.* ***ადაპტაციის სახეებია:*** *მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.*

4. სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.

5. მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ***მოდიფიკაცია*** ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

7. სასწავლო გარემოს ***აკომოდაცია*** ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

ა) ინსტრუქციის **აკომოდაცია**;

ბ) გარემო პირობების **აკომოდაცია;**

გ) შეფასების **აკომოდაცია**;

დ) დროის, **გრაფიკის აკომოდაცი**ა.

8. **ალტერნატიული** სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლე**ბა. ალტერნატიული** სასწავლო გეგმა გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს და აღწერს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისათვის საგნების საგანმანათლებლო სტანდარტს, სწავლების რეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებებს. ალტერნატიული სასწავლო გეგმის მიხედვით თითოეული საგანი ისწავლება მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით და მოსწავლეს ფუნქციურ და აკადემიურ ცოდნას აძლევს. ალტერნატიული სასწავლო გეგმა განკუთვნილია მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის როგორც სპეციალიზებულ, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის შემთხვევაში და ასევე შინ სწავლებისას. ალტერნატიული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია – შედეგზე ორიენტირება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ფოკუსირებული სწავლების ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით. გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ხელმძღვანელობს ალტერნატიული სასწავლო გეგმით. ალტერნატიული სასწავლო გეგმა ზოგადი და სპეციალიზებული განათლების სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტს ავალდებულებს უზრუნველყოს მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მაღალი სტანდარტი, რომლის ფუნდამენტური პრინციპი (ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად) – სასწავლო შედეგებზე ორიენტირებაა. ალტერნატიული სასწავლო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში **საგნის მასწავლებელი ფსიქოლოგთან ერთ**ად, შინ სწავლებისას – ყველა ის მასწავლებელი, რომელიც შინ სწავლების პროგრამას ახორციელებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა.

2. **ინდივიდუალურ**ი სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.

3. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმ**ა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

4. **სკოლა მულტიდისციპლინური გუნდის** მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

5. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

6. **ყოველი სსსმ მოსწავლისთვის** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:

ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;

დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან ფსიქოლოგი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;

ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;

ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

7. ინ*დივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.*

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი

1. *სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.*

2. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;

ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;

დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ე) **საჭიროების შ**ემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

3. **ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი,** რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.

4. **ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ;** ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

5. *ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ფსიქოლოგი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.*

6. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების **(ცოდნა, უნარ-ჩვევები)** შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:

ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.

ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

4. საბაზო/საშუალო საფეხურის სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30 % და მეტი გაცდენის შემთხვევაში, ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, ექსტერნატის ფორმით აბარებს გამოცდას.

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.

4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელის გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეოკონფერენციები.

6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა (სპორტი)) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

1. **სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ** მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

2. **სკოლის კიბეებზე გაკეთებულია მოძრავი პანდუსი,** რომლის საშუალებითაც მათი ყოლის შემთხვევაში იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.

3. სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

4. მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.

5. მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
6. ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
7. სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
8. სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
9. ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
10. გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
11. ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
12. სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

პერსონალის მართვა

შპს სკოლა „ჰორიზონტში“ პერსონალის მართვა ეფუძნება მკაფიო ორგანიზაციულ სტრუქტურას, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, კანონმდებლობასთან შესაბამისობას, ანგარიშვალდებულებასა და თანამშრომლობით ორგანიზაციულ კულტურას.

სკოლა წარმოადგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის განაწილების ეფექტური საშუალებაა. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ სკოლის თითოეულმა წარმომადგენელმა იცოდეს საკუთარი ფუნქცია, პასუხისმგებლობის სფერო, ანგარიშვალდებულების ხაზი და საკუთარი როლი სკოლის საერთო მიზნების მიღწევის პროცესში.

სწორად დაგეგმილი ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, ფუნქციების კოორდინირებულ შესრულებას, შრომითი პროცესის ორგანიზებასა და სკოლის ყოველდღიური საქმიანობის თანმიმდევრულ წარმართვას. იგი ადგენს ფორმალური ანგარიშვალდებულების ხაზებს კონკრეტულ თანამდებობებს, პოზიციებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რაც ქმნის პერსონალის მართვის გამჭვირვალე და მოწესრიგებულ სისტემას.

პერსონალის ეფექტური მართვისთვის სკოლაში მკაფიოდ არის განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქცია-მოვალეობები. თითოეული თანამშრომლის ფუნქცია უკავშირდება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, **მოსწავლეთა მხარდაჭერას, უსაფრთხო და ხარისხიანი სასწავლო გარემოს შექმნას, ადმინისტრაციული**ი პროცესების უზრუნველყოფას და სკოლის განვითარების მიზნების რეალიზებას.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი **შიდა დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის** დირექტორის ბრძანებით. სკოლის სტრუქტურა ასევე ასახულია **სკოლის ორგანოგრამაში**, სადაც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები, პოზიციები, ურთიერთდაქვემდებარება და ანგარიშვალდებულების ძირითადი მიმართულებები.

სკოლის სტრუქტურული მოწყობა მოიცავს დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფს, მოსწავლეთა საბჭოს, მშობელთა სათათბიროს, დამხმარე და ტექნიკურ პერსონალს. აღნიშნული ერთეულები და პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას, ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, უსაფრთხოებას, მოსწავლეთა კეთილდღეობასა და სკოლის განვითარების ხელშეწყობას.

პერსონალის მართვის საკვანძო ელემენტებია სკოლის სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქცია-მოვალეობები, ანგარიშვალდებულების სისტემა და ის საკანონმდებლო და შიდა მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის საფუძველზეც სკოლის საქმიანობა წარიმართება. პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის დებულების, შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, შრომითი ხელშეკრულებებისა და სხვა შიდა დოკუმენტების შესაბამისად.

სკოლა პერსონალის მართვას განიხილავს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ პროცესად, არამედ სკოლის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმად. თანამშრომელთა ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა, პროფესიული პასუხისმგებლობის გააზრება, გუნდური მუშაობა და მონაწილეობითი მართვა ხელს უწყობს სკოლის მისიის განხორციელებას — უსაფრთხო, ემპათიური, მხარდამჭერი და მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნას.

ამრიგად, შპს სკოლა „ჰორიზონტში“ პერსონალის მართვის სისტემა უზრუნველყოფს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას, ანგარიშვალდებულების გამჭვირვალე ხაზებს და სკოლის განვითარების მიზნებთან ადამიანური რესურსის დაკავშირებას.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება:

სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენება ხარისხის მართვის **ციკლი: პროფესიული განვითარება, თავის მხრივ – ეს არის უწყვეტი ციკლი, რომელიც მოიცავს საქმიანობის ანალიზისა და საჭიროებების დადგენას. ამ ეტაპ**ების შემდეგ არის შესაძლებელი სხვადასხვა მიზნობრივი მექანიზმების/ინტერვენციების შემუშავება და მათზე დაკვირვება. მნიშვნელოვანია განხორციელდეს კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მოდელს:

1. ტრენინგი;
2. სასწავლო ჯგუფები;
3. საგაკვეთილო დაკვირვება;
4. სამუშაო შეხვედრები;

5. კრიტიკული მეგობარი.

კარი II

სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები

ზოგადი მიმოხილვა - სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წინამდებარე სასკოლო-სასწავლო გეგმაში წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის აგების პრინციპები

1. სასწავლო თემა წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები - განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით (თემატური მკვიდრ წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

2. გრძელვადიანი მიზნები

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

ა) სტანდარტის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგნის ფარგლებში საფეხურის ბოლოს?

ბ) სამიზნე ცნებები - გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

გ) სამიზნე ცნების/ცნებების მკვიდრი წარმოდგენები - თითოეული ცნებისთვის განისაზღვრულია მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტდებულია წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში;

დ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები - გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატური შეკითხვებად არის გარდაქმნილი.

3. შუალედური მიზნები

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული **ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები,** ასევე **შემოქმედებითი დავალება/დავალებები** და **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.** თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა.

ქვეცნებები - წლიური თემების ფარგლებში, გამოიყოფილია საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.

თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი“) და განსაზღვრულია შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა:

1. მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
2. სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
3. თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

შემოქმედებითი დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში.

დაწყებითი საფეხური (I-VI კლასი)

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი (ზოგადი ნაწილი)

საგანმანათლებლო სერივსების ჩამონათვალი:

- სავალდებულო საგანი (საგნობრივი ჯგუფების მიხედვით);

საგანი საგნობრივი ჯგუფი
სახელმწიფო ენა
ქართული ენა და ლიტერატურა
მათემატიკა
მათემატიკა
უცხოური ენები
პირველი უცხოური ენა

მეორე უცხოური ენა
საზოგადოებრივი მეცნიერებები
მე და საზოგადოება
ჩვენი საქართველო
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
ბუნებისმეტყველება
ტექნოლოგიები
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები
ესთეტიკური აღზრდა
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მუსიკა
ფიზიკური აღზრდა და სპორტი
ფიზიკური აღზრდა
ჭადრაკი

- სადამრიგებლო საათი დაწყებით საფეხურზე
- 2026-2027 სასწავლო წლის სასკოლო პროექტი საფეხურების მიხედვით
- დამატებითი საგანმანათლებლო სერვისები-ფაკულტატურული

დასახელება	ხელმძღვანელ(ებ)ი	ჩატარების ადგილი

კინოკლუბი "კადრი"	თამუნა ხოზრევანიძე	სააქტო დარბაზი
კულტურულ-შემოქმედებითიკლუბი "ცეკვის ენა"	სალომე სიკოლია	სპორტული დარბაზი
კითხვის კლუბი -"წიგნის მეგობრები"	როზა კუჭაშვილი	სამკითხველო ოთახი

- სივრცეები არაფორმალური განათლებისთვის

კურიკულუმის დაგეგმვა თითოეული საგნისთვის დაწყებით საფეხურზე:

1. **მოსწავლეების დატვირთვა** - საათობრივი ბადე, დამატებითი სამუშაო;
2. **შინაარსი** (კურიკულუმის ჩარჩო (სასწავლო მიზნის სტრუქტურა) თითოეული წლისთვის; კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები);
3. **სასწავლო რესურსები** - გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო რესურსები;
4. **შეფასება** - შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას (სკოლის;
5. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები** სსსმ მოსწავლეებისთვის;

კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაწყებით საფეხურზე:

6. 2026-2027 სასწავლო წელს ორივე სემესტრის ბოლოს მოხდება მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო წერის ჩატარება ორ საგანში:
1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. მათემატიკა

7. სხვა კათედრებზე/საგნებში, მონიტორინგის მიზნით მონაცემთა შეგროვება მოხდება სხვადასხვა მეთოდებით, რომელსაც შეარჩევს საგნობრივი კათედრები:

1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა;

2. ინტერვიუ;
3. ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენება;
4. ექსპერტთა პანელი – ითვალისწინებს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნას შესაფასებლად. ისინი რამდენიმე შეხვედრისა და ფუნდამენტური განხილვის შემდეგ ერთობლივ პოზიციას აფიქსირებენ;
5. SWOT ანალიზის მეთოდი და ა.შ

პროექტი დაწყებით საფეხურზე

სკოლა ,,ჰორიზონტში“ 2026-2027 სასწავლო წლის ფარგლებში დაწყებით საფეხურზე იმუშავებს სასკოლო პროექტზე ,,ერთად, ერთმანეთისთვის“

პროექტი დაფუძნებული იქნება თანატოლგანმანათლებლობის პრინციპებზე..

პროექტის გეგმაზე მიმდინარეობს მუშაობა და აისადხება სასკოლო სასწავლო გეგმაში.

საბაზო საფეხური (VII-IX კლასები)

საბაზო საფეხურის კურიკულუმი (ზოგადი ნაწილი)

საგანმანათლებლო სერივსების ჩამონათვალი:

- სავალდებულო საგანი (საგნობრივი ჯგუფების მიხედვით);

საგნები
სახელმწიფო ენა
ქართული ენა და ლიტერატურა
მათემატიკა

მათემატიკა
უცხოური ენები
პირველი უცხოური ენა
მეორე უცხოური ენა
საზოგადოებრივი მეცნიერებები
ისტორია
გეოგრაფია
სამოქალაქო განათლება
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
ბიოლოგია
ფიზიკა
ქიმია
ესთეტიკური აღზრდა
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მუსიკა
სპორტი
ფიზიკური აღზრდა და სპორტი

- 2026-2027 სასწავლო წლის სასკოლო პროექტი
- დამატებითი საგანმანათლებლო სერვისები;

დასახელება	ხელმძღვანელ(ებ)ი ადგილი	ჩატარების

ლიტერატურული კლუბი "თვალსაწიერი "	ლამზირა აბულაძე ნაირა გუნდაძე
ეკო კლუბი-მეტი სიცოცხლისთვის	შუშანიკ არძენაძე მაია გოგიტიძე
კინოკლუბი "კადრი"	თამუნა ხოზრევანიძე
პოდკასტის კლუბი	სალო სიკოლია
"ინგლისური ლიტერატურისა და კითხვის წრე"	ლიანა ჯაიანი

კურიკულუმის დაგეგმვა თითოეული საგნისთვის საბაზო საფეხურზე:

8. **მოსწავლეების დატვირთვა** - საათობრივი ბადე, დამატებითი სამუშაო;
9. **შინაარსი** (კურიკულუმის ჩარჩო (სასწავლო მიზნის სტრუქტურა) თითოეული წლისთვის; კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები);
10. **სასწავლო რესურსები** - გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო რესურსები;
11. **შეფასება** - შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას (სკოლის;
12. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები** სსსმ მოსწავლეებისთვის

დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება საბაზო საფეხურზე:

13. 2026-2027 სასწავლო წელს ორივე სემესტრის ბოლოს მოხდება მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო წერის ჩატარება საგანში:

1. ბიოლოგია;

14. სხვა კათედრებზე/საგნებში, მონიტორინგის მიზნით მონაცემთა შეგროვება მოხდება სხვადასხვა მეთოდებით, რომელსაც შეარჩევს საგნობრივი კათედრები:

1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა;

2. ინტერვიუ;
3. ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენება;
4. ექსპერტთა პანელი – ითვალისწინებს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნას შესაფასებლად. ისინი რამდენიმე შეხვედრისა და ფუნდამენტური განხილვის შემდეგ ერთობლივ პოზიციას აფიქსირებენ;
5. SWOT ანალიზის მეთოდი და ა.შ

პროექტი საბაზო საფეხურზე

სკოლა 2026- 2027 სასწავლო წლის ფარგლებში საბაზო საფეხურზე იმუშავებს სასკოლო პროექტზე ,,ერთად, ერთმანეთისთვის“

პროექტი დაფუძნებული იქნება თანატოლგანმანათლებლობის პრინციპებზე..

პროექტის გეგმაზე მიმდინარეობს მუშაობა და აისადხება სასკოლო სასწავლო გეგმაში.

საშუალო საფეხური (X-XII კლასები)

საშუალო საფეხურის კურიკულუმი (ზოგადი ნაწილი)

საგანმანათლებლო სერივსების ჩამონათვალი:

- სავალდებულო საგანი (საგნობრივი ჯგუფების მიხედვით);

საგნები
სახელმწიფო ენა
ქართული ენა და ლიტერატურა
მათემატიკა
მათემატიკა
უცხოური ენები
პირველი უცხოური ენა

მეორე უცხოური ენა
საზოგადოებრივი მეცნიერებები
ისტორია
საქართველოს ისტორია
გეოგრაფია
მოქალაქეობა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
ბიოლოგია
ფიზიკა
ქიმია
სპორტი
ფიზიკური აღზრდა და სპორტი
არჩევითი საგნები
არჩევითი საგანი

- 2026-2027 სასწავლო წლის სასკოლო პროექტი
- დამატებითი საგანმანათლებლო სერვისები;

დასახელება	ხელმძღვანელ(ებ)ი ადგილი	ჩატარების
ლიტერატურული კლუბი “თვალსაწიერი”	ლამზირა აბულაძე ნაირა გუნდაძე	
ისტორიის კლუბი “დავითიანები”	დალი ქარცივაძე	

კურიკულუმის საგნისთვის საშუალო	"ინგლისური ლიტერატურისა და კითხვის წრე"	ლიანა ჯაიანი	დაგეგმვა თითოეული საფეხურზე:
	პოდკასტის კლუბი	სალო სიკოლია	

15. **მოსწავლეების დატვირთვა** - საათობრივი ბადე, დამატებითი სამუშაო;
16. **შინაარსი** (კურიკულუმის ჩარჩო (სასწავლო მიზნის სტრუქტურა) თითოეული წლისთვის; კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები);
17. **სასწავლო რესურსები** - გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო რესურსები;
18. **შეფასება -** შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას (სკოლის;
19. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები** სსსმ მოსწავლეებისთვის;

კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება საშუალო საფეხურზე:

20. 2026-2027 სასწავლო წელს ორივე სემესტრის ბოლოს მოხდება მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო წერის ჩატარება ორ საგანში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. უცხო ენა

21. სხვა კათედრებზე/საგნებში, მონიტორინგის მიზნით მონაცემთა შეგროვება მოხდება სხვადასხვა მეთოდებით, რომელსაც შეარჩევს საგნობრივი კათედრები:

1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა;
2. ინტერვიუ;
3. ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენება;
4. ექსპერტთა პანელი – ითვალისწინებს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნას შესაფასებლად. ისინი რამდენიმე შეხვედრისა და ფუნდამენტური განხილვის შემდეგ ერთობლივ პოზიციას აფიქსირებენ;
5. SWOT ანალიზის მეთოდი და ა.შ

პროექტი საშუალო საფეხურზე

სკოლა 2026 2027 სასწავლო წლის ფარგლებში საშუალო საფეხურზე იმუშავებს სასკოლო პროექტზე **„ერთად, ერთმანეთისთვის“**

პროექტი დაფუძნებული იქნება თანატოლგანმანათლებლობის პრინციპებზე..

პროექტის გეგმაზე მიმდინარეობს მუშაობა და აისადხება სასკოლო სასწავლო გეგმაში.

კარი III მოსწავლეთა მიღწევების, მხარდაჭერისა და განვითარების საერთო სასკოლო მექანიზმები

წინამდებარე **კარი III** აერთიანებს იმ საერთო მექანიზმებს, რომლებიც ვრცელდება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე და ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზს, სასკოლო საზოგადოებასთან ინფორმაციის გაზიარებას, მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფას და არაფორმალური განათლების გზით მოსწავლეთა პიროვნული, სოციალური და მოქალაქეობრივი განვითარების ხელშეწყობას.

ამ მიმართულებით სკოლა „ჰორიზონტი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, გამჭვირვალე კომუნიკაციას, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებსა და უსაფრთხო, მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას.

ინფორმაციის გაზიარება მოსწავლეების მიღწევებთან დაკავშირებით;

შპს სკოლა „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის სისტემურ დამუშავებას, ანალიზსა და სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებას. აღნიშნული პროცესი ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის დანახვას, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოვლენას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სკოლაში ხორციელდება ორგანიზებულად, წინასწარ განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად. პროცესი მოიცავს საგნის მასწავლებლების, საგნობრივი კათედრების, დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის თანამშრომლობას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შედეგების ანალიზი არ იყოს ფრაგმენტული, არამედ ეფუძნებოდეს საგნობრივ, კლასობრივ და სასკოლო დონეზე მონაცემების გააზრებას.

პირველ ეტაპზე მოსწავლეთა შედეგების შესახებ ინფორმაციას ამუშავებენ საგნის მასწავლებლები. მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს, შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, დიაგნოსტიკური წერების მონაცემებს, საკლასო აქტივობებში ჩართულობას, მოსწავლეთა პროგრესს და იმ სირთულეებს, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიკვეთა. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, წინარე ცოდნას, დასწრებას, ჩართულობასა და დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებას.

საგნის მასწავლებლები მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ამზადებენ მოკლე ანალიზს/ნარატივს, რომელშიც ასახულია მოსწავლეთა მიღწევების საერთო სურათი, საგნის ფარგლებში გამოკვეთილი ძლიერი მხარეები, გასაუმჯობესებელი მიმართულებები, მოსწავლეთა მხარდაჭერის საჭიროებები და შესაძლო რეკომენდაციები. აღნიშნული ინფორმაცია წარედგინება შესაბამის საგნობრივ კათედრას.

მეორე ეტაპზე კათედრის წევრები განიხილავენ საგნის მასწავლებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. კათედრა აანალიზებს მონაცემებს საგნობრივი მიმართულებების მიხედვით და ქმნის შედეგების საერთო შეჯამებას. აღნიშნული შეჯამება შეიძლება მოიცავდეს კლასების, საფეხურების, საგნობრივი თემების ან კომპეტენციების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს. ინფორმაციის დამუშავებისას კათედრა გამოყოფს როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ მიმართულებებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

კათედრის დონეზე მონაცემების ანალიზი ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. კათედრის წევრები მსჯელობენ, რა ტიპის მეთოდები, რესურსები, დავალებები ან სასწავლო სტრატეგიები აღმოჩნდა ეფექტიანი და სად არის საჭირო დამატებითი მხარდაჭერა, რემედიაცია, სასწავლო რესურსების შეცვლა, დავალებების გადახედვა ან მასწავლებელთა პროფესიული თანამშრომლობის გაძლიერება.

მესამე ეტაპზე კათედრების მიერ მომზადებული ანალიზი გადაეცემა სკოლის დირექტორის მოადგილესა და ხარისხის მართვის მენეჯერს. დირექტორის მოადგილე და ხარისხის მართვის მენეჯერი ამუშავებენ კათედრებისგან მიღებულ ინფორმაციას, აერთიანებენ მონაცემებს სასკოლო დონეზე და ამზადებენ განზოგადებულ ანალიზს. აღნიშნული ანალიზი ასახავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების საერთო სურათს, სასწავლო პროცესის ძლიერ მხარეებს, გამოწვევებსა და გაუმჯობესების საჭიროებებს.

გაანალიზებული შედეგები წარედგინება სასკოლო საზოგადოებას შესაბამისი ფორმით. ინფორმაციის გაზიარება შეიძლება განხორციელდეს პედაგოგიურ საბჭოზე, კათედრების შეხვედრებზე, მშობელთა შეხვედრებზე, ინდივიდუალური კონსულტაციების, ანგარიშების, ელექტრონული ჟურნალის ან სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. ინფორმაციის გაზიარებისას სკოლა იცავს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას და არ ავრცელებს ინდივიდუალურ მონაცემებს მესამე პირებთან ან სხვა მოსწავლეთა/მშობელთა თანდასწრებით.

მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაცია მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად. მშობელი იღებს ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების, პროგრესის, დასწრების, ჩართულობისა და საჭირო მხარდაჭერის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი ან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი მშობელთან ერთად გეგმავს მოსწავლის მხარდაჭერის შესაბამის ნაბიჯებს.

სასკოლო დონეზე მიღწევების ანალიზის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე სკოლა გეგმავს დამატებით კონსულტაციებს, რემედიაციის აქტივობებს, დიაგნოსტიკურ წერებს, სასწავლო რესურსების გადახედვას, შეფასების რუბრიკების დახვეწას, მასწავლებელთა პროფესიულ თანამშრომლობას, კათედრების სამუშაო გეგმების დაზუსტებას და მოსწავლეთა მხარდაჭერის სხვა ღონისძიებებს.

შპს სკოლა „ჰორიზონტისთვის“ მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება არის არა მხოლოდ ანგარიშგების პროცესი, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მექანიზმი. იგი ხელს უწყობს მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მოსწავლეთა განვითარებისა და წარმატების მხარდაჭერაში.

მოსწავლეთა მხარდაჭერა

შპს სკოლა „ჰორიზონტი“ მოსწავლეთა მხარდაჭერას განიხილავს როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს. სკოლაში მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შიდა რეგულაციების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების პოლიტიკის, პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე.

ვინაიდან სკოლა ახლადდაფუძნებულია და ამ ეტაპზე მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცესი მიმდინარეობს, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის პრაქტიკული მექანიზმები ამოქმედდება ჩარიცხვისთანავე. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, საგანმანათლებლო მომსახურების პირობებსა და კომუნიკაციის ფორმებს.

სკოლას შემუშავებული აქვს **„მოსწავლის პაკეტი“**, რომელიც ჩარიცხვის შემდეგ გადაეცემა ყველა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. პაკეტში განთავსდება მშობლისა და მოსწავლისთვის საჭირო ძირითადი ინფორმაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის წესები, შეფასების სისტემა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები, ევაკუაციისა და საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, მხარდაჭერის სერვისები, განცხადებისა და საჩივრის წარდგენის მექანიზმები, პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები და საკომუნიკაციო არხები.

მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში ჩართული იქნებიან დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, ფსიქოლოგი, სკოლის ექიმი, დირექტორის მოადგილე და ადმინისტრაცია. ჩარიცხვის შემდეგ ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციის, აკადემიური წინსვლის, დასწრების, ქცევის, სოციალურ-ემოციური მდგომარეობისა და საჭიროებების მონიტორინგს.

საჭიროების შემთხვევაში სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს აკადემიურ მხარდაჭერას, მათ შორის დამატებით კონსულტაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს, რემედიაციის აქტივობებს, დიაგნოსტიკურ წერებსა და ინდივიდუალურ ან ჯგუფურ დახმარებას. ასევე უზრუნველყოფილი იქნება ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა.

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაცია განხორციელდება ინდივიდუალურად და კონფიდენციალურად. მშობელს მიეწოდება ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების, დასწრების, ქცევის, პროგრესისა და მხარდაჭერის საჭიროებების შესახებ. სკოლა დაიცავს მოსწავლის ღირსებას, პირად სივრცესა და პერსონალურ მონაცემებს.

არაფორმალური განათლება

შპს სკოლა „ჰორიზონტი“ მოსწავლეთა განვითარებას განიხილავს როგორც აკადემიური, სოციალურ-ემოციური, შემოქმედებითი, მოქალაქეობრივი და პიროვნული ზრდის ერთიან პროცესს. ამ მიზნით სკოლა გეგმავს, სასწავლო პროცესთან ერთად, მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები, არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები და სასკოლო პროექტები.

ვინაიდან სკოლა ახლადდაფუძნებულია და მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცესი მიმდინარეობს, ჩარიცხვის პარალელურად შედგება თითოეული კლასის მოსწავლეთა პროფილი. აღნიშნული პროფილი დაეხმარება სკოლას მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებების, ძლიერი მხარეებისა და განვითარების მიმართულებების უკეთ დანახვაში. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება როგორც სასწავლო პროცესის, ისე დამატებითი აქტივობების, მხარდაჭერის მექანიზმებისა და არაფორმალური განათლების დაგეგმვისას.

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა განხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და მიმართული იქნება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობისკენ. ასეთი მომსახურება არ ჩაანაცვლებს სავალდებულო სასწავლო პროცესს, არამედ გაამდიდრებს მოსწავლის სასკოლო გამოცდილებას, ხელს შეუწყობს მისი ინტერესების გამოვლენას, უნარების განვითარებასა და თვითრეალიზებას.

სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების მიზნით დაგეგმილია მუდმივი თანამშრომლობა კათედრებს, სადამრიგებლო რგოლსა და სამივე საფეხურის მოსწავლეებს შორის. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრების დაგეგმვაში, მათთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, ინიციატივების წარდგენასა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების კულტურის განვითარებაში.

მდგრადი განვითარების მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების განვითარების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო პროექტების არჩევის მეთოდიკა. აღნიშნული მეთოდიკა უზრუნველყოფს, რომ სასკოლო პროექტები შეირჩეს არა შემთხვევითად, არამედ მოსწავლეთა ინტერესების, სასკოლო საზოგადოების საჭიროებებისა და საგანმანათლებლო მიზნების გათვალისწინებით.

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა სასკოლო საზოგადოებას შესთავაზებს პროექტების ჩამონათვალს. პროექტების არჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა, მასწავლებელთა, დამრიგებლებისა და საჭიროების შემთხვევაში მშობლების მოსაზრებები. შერჩეული პროექტები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობის, პასუხისმგებლობის, კრიტიკული აზროვნების, სოციალური აქტიურობის, ეკოლოგიური ცნობიერების, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.